# კონკურენციის როლი ბიზნესის განვითარებაში

**გიორგი კოტაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი : სალომე დანელია, მოწვეული ლექტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022**

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლების ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი კოტაშვილი

03.07.2022

# აბსტრაქტი

ცივილიზაციის განვითარების პარალელურად განვითარდა კონკურენციული პროცესები მრავალ სფეროში. კონკურენციას ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ეკავა ადამიანთა ცხოვრებაში. თანამედროვე მსოფლიოში, მოცემული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი, არათუ არ კარგავს აქტუალურობას, არამედ სულ უფრო მეტი მეცნიერი ერთვება კონკურენციის გავლენების კვლევაში. სწორედ ბიზნესში არსებულ კონკურენტულ პროცესებზე დაკვირვების შემდეგ ჩამოყალიბდა საკვლევი თემისადმი ინტერესი, რომელზე კვლევის შედეგიც წინამდებარე ნაშრომშია მოცემული.

ბიზნეს ბაზრებზე არსებული კონკურენციის დაკვირვებისას, ჩნდება კითხვა, თუ რა მართავს ამ პროცესებში მონაწილე სუბიექტებს, როგორ რეაგირებენ ისინი ბაზარზე არსებულ სხვადასხვა კონკურენციის მოდელზე, რა გზებს მიმართავენ ბიზნესის განვითარებისთვის და როგორ მოქმდებს მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების საბოლოო მომხმარებელზე. ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოში მრავალი მეცნიერი საუბრობს კონკურენციის როლზე ბიზნესის განვითარებაში, ამის საპასუხოდ წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს სხვადასხვა კონკურენციის მოდელების გავლენას ბიზნესზე, რომელიც განხილულია მსოფლიოში აღიერებული მეცნიერების მიერ. ნაშრომში ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზებზე პასუხის მისაღებად მეცნიერთა მოსაზრებებთან ერთად მოცემულია კვლევა, რომელიც ასახავს მომხმარებლის მხრიდან დანახულ პროცესებს კონკურენციის როლზე ბიზნესის განვითარებში და მათი, როგორც მომხმარებლის კეთილდღეობაზე მოქმედ ფაქტორს. ნაშრომის სრულყოფისთვის მოცემულ მეცნიერთა მოსაზრებასთან ერთად განხორციელებული კვლევაც ადასტურებს ნაშრომში მოცემულ ჰიპოთეზებს, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ნაშრომი წარმატებით ემსახურება იმ მიზანს, რისთვისაც არის შექმნილი.

# Abstract

Along with the development of civilization, competitive processes have developed in many fields. Competition has always played an important role in people's lives. In the modern world, the research subject of the master's thesis does not lose its relevance, but more and more scientists are involved in the research of the effects of competition. It was after observing the competitive processes in business that the interest in the research topic was formed, on which the results of the research are given in the present paper.

When observing the competition in the business markets, the question arises as to what governs the entities participating in these processes, how they react to different competition models in the market, what ways they apply for business development and how the steps taken by them will affect the end user. Since many scientists in the modern world talk about the role of competition in business development, the paper presented in response to this examines the impact of different competition models on business, which are discussed by world-renowned scientists. In order to answer the hypotheses formulated in the paper, together with the opinions of scientists, provides a study that reflects the processes seen from the customer's side on the role of competition in business development and the factor affecting their well-being as a customer. The research carried out together with the opinion of the scientists for the perfection of the paper also confirms the hypotheses given in the paper, which allows us to say that the paper successfully serves the purpose for which it was created.